ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გოეთეს ინსტიტუტისგან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის EU4Culture ხელშეწყობით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, პროექტის ,,კულტურის განვითარების სტრატეგიის საფუძველზე შერჩეული ღონისძიებების ხელშეწყობის" ფარგლებში განხორციელდება ქუთაისის სახალხო ხელოვნების ფესტივალი. ქუთაისის სახალხო ხელოვნების ფესტივალი ხელს შეუწყობს ქალაქის კულტურის განვითარების სტრატეგიის მდგრადობას დინამიური კულტურული ეკოსისტემის ხელშეწყობით. იგი გულისხმობს ინოვაციურ შემოქმედებით ჩართულობას, CDS მიზნების შესაბამისად, მრავალმხრივი შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობისა და განვითარების გზით. პროექტი ითვალისწინებს ქუთაისის მიერ კულტურის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში აღებული ვალდებულებების პრაქტიკულ შესრულებას. გოეთეს ინსტიტუტი თანახმაა გამოყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში პროექტის განსახორციელებლად გრანტი 30000 ევროს ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, გოეთეს ინსტიტუტიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში პროექტის ,,კულტურის განვითარების, სტრატეგიის საფუძველზე შერჩეული აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა" ფარგლებში მიიღოს 30000 (ოცდაათი ათასი) ევროს ოდენობის გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი